საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 5 21 0000805798

19/08/2021

ბრძანება

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლისმე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს №11 ოქმის N1 საოქმო დადგენილებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (13.08.2021 წ. N792658) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წელი ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიწყოს 2021 წლის 04 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგისახით:**

ა. I სემესტრი დაიწყოს 2021 წლის 04 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 14 თებერვალს;
ბ. II სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 28 თებერვალს და დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;
გ. პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2021 წლის 1 სექტემბრიდან და დასრულდეს 2021 წლის 27 სექტემბერს. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;
დ. სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2021 წლის 12 სექტემბერს და დასრულდეს 2021 წლის 27 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2022 წლის 17 იანვარს და დასრულდეს 2022 წლის 30 იანვარს.
ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 28 იანვრიდან 2022 წლის 10 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2022 წლის 13 ივნისიდან და დასრულდეს 2022 წლის 26 ივნისს;
ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2022 წლის 24 ივნისიდან 2022 წლის 07 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2022 წლის 15 თებერვლიდან და დასრულდეს 2022 წლის 27 თებერვალს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. სწავლა დაიწყოს 10:00 საათზე;
4. 2021-2022 სასწავლო წელი დასრულდეს 2022 წლის 15 ივლისს;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
7.სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ა.მოსიაშვილი);
8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულსასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლისგამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი